XIV საუკუნის შავი ჭირი და საქართველო

ნიკოლოზ გოგოლაური

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

შუა საუკუნეების კვლევები (ენა, ლიტერატურა, ისტორია, ფილოსოფია, ხელოვნების ისტორია, რელიგია)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ბეჟან ჯავახია, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

აბსტრაქტი

ინფექციური დაავადებები ადამიანის ისტორიის განუყოფელი ნაწილია, შესაბამისად ყოველ დროსა და ქვეყანაში მათ მიმართ ინტერესი ყოველთვის აქტუალური იყო. საზოგადოების დაინტერესებას კორონა ვირუსის ახალი პანდემიაც ზრდის. სამაგისტრო ნაშრომი შეისწავლის შავი ჭირის სახელით ცნობილ ინფექციურ დაავადებას, მის ისტორიასა და მისგან გამოწვეულ შედეგებს. შავი ჭირი განხილულია არა მხოლოდ როგორც დაავადება, არამედ როგორც ისტორიული მოვლენა, რომელმაც გავლენა მოახდინა და შეცვალა გვიანი შუა საუკუნეების დემოგრაფიული, რელიგიური, სოციალურ-პოლიტიკური თუ სხვა რეალობა. სამაგისტრო ნაშრომი ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველი მცდელობაა, რომელიც მე-14 საუკუნეში დაწყებულ შავ ჭირის მეორე პანდემიას განიხილავს როგორც მოვლენას და წარმოაჩენს მის მიერ გამოწვეულ აღნიშნული სახის ცვლილებს გვიანი შუა საუკუნეების საქართველოში. ქართულ ისტორიოგრაფიაში თემურ ლენგი და მისი შემოსევები ითვლება ჩვენი ქვეყნის დემოგრაფიული შემცირების, დასუსტებისა და განადგურების მთავარ მიზეზად, კვლევაში განვითარებულია აზრი, რომ საქართველოს განადგურების პროცესი სწორედ შავმა ჭირმა დაიწყო და თემურ ლენგი უკვე დემოგრაფიულად განადგურებულ და დასუსტებულ ქვეყანაში შემოვიდა, ხოლო დაავადება მასთან ერთად კომბინაციით კვლავ განაგრძობდა ქვეყნის განადგურებას. შავი ჭირია ერთ-ერთი მიზეზი იმ წინა პირობების შექმნისა, რომელთა გამოც ერთიანი ქართული სახელმწიფო მე-14 საუკუნეში რამდენჯერმე დაიშალა.

საკვანძო სიტყვები: შავი ჭირი, პანდემია, საქართველო, თემურ ლენგი